წელიწადი 1-ლი | ტელეფონი № 76. | პარასკევი 19 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . . 8 მან.
თვიურათ . . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. ხაზი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . . 15 კ.
[illegible]
2 სათის შემდეგ . . . 6 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 32 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 32

ლუკა მოსეს-ძე ქუთათელაძე და ძენი მისნი პარუჩიკი, ბიძინა შტაბს კაპიტანი, დავით პრავიზორის თანაშემწე კონსტანტინე და ასული თამარა ქუთათელაძეები და ასული ელენა კვიკვიძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობს რომ 20 ამა მაისს დღით შაბათს 11 საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის მეუღლისა დადანარჩენი დედისა

## აგრაფინა ვასილის ასულის ქუთათელაძისა

სულის მოსახსენებლად საფირჩხის სასაფლაოს ეკლესიაზედ.

20 მაისს შაბათს საფიჩხის ეკლესიაში გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულათ გარდაცვლილ ხაშურის გიმნაზიის მასწავლებლის მიხეილ

## (გუია) პიმენის ძის რატიანის

სულის მოსახსენებლათ რასაც აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე პაშა იოსებ ლომინაძის ასული და დედა ელპინე ლალიძის ასული რატიანები და ქრისტინე პიმენის ასული აფაქიძისა და სიდედრი გუგული ერისთვის ასული ლომინაძისა შვილებით). წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 18 მაისიდან გრანდიოზული მსოფლიო სურათი.

## გრენადის ვარდი

დრამა 6 ნაწ. ცნობილ ულამაზეს ქალის ლინა კავალიერის მონაწ. რადგანაც ამ სურათის დამზადებაზე დიდი ხარჯებია გაწეული, ადგილების **ფასები მომატებულია.**

**ანონსი:** ორშაბათიდან, 22 მაისიდან **მკვდრეთით აღმსდგარი დონ-ჟუანი.** დრამა 5 ნაწ. პროლოგით ვ. პოლონსკისა და სხვათა მონაწ. 1. სიყვარულის ალიო; 2. გზა გულისაკენ; 3. ქალი დამარცხდა; 4. ყველას წინააღმდეგ; 5. დიდებულ გრძნობის სამსხვერპლო.

**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრისგანყოფილება!

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

18 მაისს საგულისხმიერო პროგრამა

ხუთშაბათიდან, 18 მაისიდან პირველად კინემატოგრაფის მსახიობთა ასეთი ანსამბლი! ვ. პოლონსკი, ვ. მაკსიმოვი და ვ. ხოლოდნაია. საზოგადოების 3 საყვარელი მსახიობი!

## ზუხაროვან.

დრამა 6 ნაწილათ ცნობილ რომანსზე: „მარტოკა სდგეხარ დანაღვლიანად შორს იყურები“-ზე აგებული. რადგანაც ამ სურათის დამზადებაში დიდი ხარჯებია გაწეული, **ფასები მომატებულია.**

**ანონსი:** ორშაბათიდან, 22 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდებული სურათი

## შავი ყორნები.

ორი დრამა 5 ნაწილ. ძველი რეჟიმის დროს მწერალი ვ. პროტოპოპოვის აკრძალულ პიესის მიხედვით. ამ სურათში გამოყვანილია შავი ბრბო, რომელიც სარწმუნოების სახელით ურცხვად ატყუებს ხალხს.

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ქუთაისში დაარსდა ახალი წიგნის გამომცემლობა

## „განათლება“

რომელსაც მიზნად აქვს დაუმზადოს და მიაწოდოს განახლებულ ქართულ შკოლას როგორც დაბალს, ისე საშუალოს, და აგრეთვე მომავალ უმაღლეს სასწავლებელს შესაფერი სახელმძღვანელოები. სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნები, რუქები, ატლასები და ყოველგვარი გამოცემები, რაც ქართულ შკოლას გამოადგება.

ავტორებს შეუძლიათ გაუგზავნონ თავის ნაწარმოები და მიმართონ პირობების გასაგებად გამომცემლობის კანტორის გამგეს გიორგი ს. ვანიძეს დილის 9 ს. 12 ს.—დი მისამართი: ქუთაისი ქართული გიმნაზია.

19 მაისს, საღამოს 7 საათზე საადგილმამულო ბანკის დარბაზში მოხდება დამხმარე საზოგადოების

## „მომავალის“

წევრთა კრება. კრების განსახილველი საგნები: პირველი წლის ანგარიშების განხილვა, გამგეობის წევრთა არჩევა და სხვა მიმდინარე კითხვები.

# დღეს:

**წერილები:**

ვ. წერეთელი—სოციალისტ-ფედერალისტების დეკლარაცია.
დ. გურული—კომპეტენცია.
ია ეკალაძე—ჩვენი გლეხობა და ჩვენი პარტიები.
lado—ვაყოვნებთ.
ჯიხ—ომი.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. კაკი წერეთლის სიტყვა. სამხედრო პირთა უფლებანი და მოვალეობანი. იმერეთის სამღვდელოების კრება. სოც.-ფედერ. კონფერ. რეზოლუციები. რუსეთი. ახალი ამბავი.

## სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვების.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



პარასკევს, 19 მაისს წარმოდგენილი იქნება დიდი სასპორტო წარმოდგენა საუკეთესო მსახიობ ქალთა და კაცთა მონაწილეობით.

დღეს არის გასტროლები განთქმულ ბელგიის ტრუპისა

**5 კლიკეტისა.**

და ქვეყანაზე ყველაზე პატარა ქალი **ლიუსის.**

ითამაშებს აგრეთვე აღმოსავლეთის მსახიობი **ჩ ი ფ უ** კავკასიური ჭიდაობის უკანასკნელი დღეები. დღეს იჭიდავებს გამოჩენილი თფილისელი წაუქცეველი მოჭიდავე

**სანიკიძე** და კავკასიური მოჭიდავე **ზაალიშვილი.**

ქუთაისის მოჭიდავე არიოში თანაულადა გამოვა მელიკოვის წინააღმდეგ. ჭიდაობის დასაწყისი 11 ნახევარ ს.

**ანონსი:** კვირას, 21 მაისს და ორშაბათს 22 მაისს დღიური წარმოდგენები. დაიწყება დღით 12 საათზე, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ბელგიელი ტრუპა

**5 კლიკეტ.**

ფასი 25 კაპიდან 1 მან. 50 კაპიკამდე.

## ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ **აბაშაში** და **ახალსენაკში** იყიდება ვაგონებით (არა ნაკლებ 1000 ფუთისა) ადგილობრივი **სიმიდი** ფუთი 2 მან. 87 კაპ. ვაგონებში დატვირთვით.

მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ სიმიდი შემდეგნაირათ: ფუთი 2 მან. და 87 კაპ. ანგარიშით უნდა შეიტანონ ხვედრი ფული ქუთაისის ხაზინაში ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე (на текущій счетъ Кутаисскаго Губернскаго Продовольственнаго Комитета) № 79304 და კვიტანცია წარმოადგინონ კომიტეტში, რის შემდეგ კომიტეტი გასცემს სათანადო განკარგულებას ნაყიდი სიმიდის მყიდველისათვის გასაცემად

3-1 ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

## მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადასჭრის შემდეგ საკითხს.

**რიცხვის მცნება**

შეიძლება თუ არა განისაზღვროს?
(Опредѣлимо или неопредѣлимо понятіе: число?)

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს. **რედაქცია**

## სოციალისტ-ფედერალისტების დეკლარაცია.

ეს დეკლარაცია სავსეა შინაგანი წინააღმდეგობით.

აღსარებულია, მაგალითად, მიწის სოციალიზაცია ჩვენში დღესვე, დამფუძნებელი კრების მოწვევამდის, ე. ი. რევოლუციური გზით, უნდა განხორციელდესო. მაგრამ, როგორც ვიცით, მამულების დიდი უმეტესობა სახაზინო ბანკებშია დაგირავებული. როგორ უნდათ ჩამოართვან ეს მამულები ხსენებულ ბანკებს? ძალით? მერე როგორ ჰგონიათ? დროებითი მთავრობა, რომლის ფინანსთა მინისტრმა ტირილით განაცხადა, ოქრო აღარა გვაქვს და ვაი თუ ქაღალდის ფულიც შემოგვაკლდესო, დასთმობს თავის უფლებას და შემდეგ ერთი ასად არ გვაზღვევინებს იმას, რასაც დღეს წავართმევთ?!

მეორე დიდი ნაწილი მამულებისა კერძო საადგილ-მამულო ბანკებშია დაგირავებული. მაგრამ ეს მამულები რომ საზოგადოებამ მიითვისოს, გირავნობის ფურცლების პატრონები ხომ სულს ამოართმევენ მათ მოვალეებს? მერე კიდევ: ამ ბანკების გაკოტრება თავისი მხრით ხომ სავაჭრო ბანკებისა და აუარებელი მოქალაქის გაკოტრებას, ე. ი. საყოველთაო ეკონომიურ კრიზისს, გამოიწვევს!

მოითმენს კი ამას დღევანდელი დროებითი მთავრობა ამ გაჭირვების დღეს, როდესაც ასე საჭიროა წესი და რიგი? ცხადია, რომ არა.

შეიძლება იფიქროს ვინმემ: საქართველოში მამულების ჩამორთმევა და განაწილება საქართველოს ავტონომიის საქმეა და არა რუსეთის ცენტრალური მთავრობისო. მაგრამ თვით სოციალისტ-ფედერალისტების დეკლარაცია აღიარებს, კანონმდებლობა სავექსილო ურთიერთობის შესახებ რუსეთის ცენტრალური საკანონმდებლო დაწესებულების კომპეტენციის ფარგალში უნდა შედიოდესო; საბანკო საქმეები კი სწორედ ამ სავექსილო ურთიერთობას შეიცავენ.

რაც შეეხება კერძო მამულებს, უეჭველია, სულ მოკლე ხანში, ვიდრე სოციალიზაცია განხორციელდებოდეს, მთლად დაგირავებულ იქნებიან.

გაუგებარია აგრეთვე შემდეგი დადგენილება: „ახლავე სახაზინო, საუფლისწულო და საეკლესიო-სამონასტრო მიწები გადავიდეს დასაცავად რევოლუციური ორგანოების (საგუბერნიო და ადგილობრივი კომიტეტებისა და მიწის მუშათა საბჭოების) ხელში. ამ ადგილებში სოფლებმა უფასოდ უნდა ისარგებლონ საძოვრითა და ტყის მასალაც უფასოდ უნდა მიეცეს ყველას საკუთარი საჭიროებისათვის“.

ჯერ ერთი, ტყეებს სჭირდებათ ტყის მცველები და კომიტეტებს საქმისმწარმოებლები. და საიდან, რომელი წყაროდან უნდა აღმოაჩინონ მათი დასაქირავებელი თანხა, გლეხებმა თუ ტყის მასალის ფასი არ გადიხადეს?!

მეორე, დეკლარაცია სრულიად არაფერს ამბობს სახნავი მიწების შესახებ. რატომ არ ამბობენ ცხადად, როგორ გაანაწილებენ ამ მიწებს? როგორც ვიცით, გლეხი მიწას მხოლოდ მაშინ აფასებს, როდესაც თავის ხელშეუხებელ და საშვილიშვილო საკუთრებად მიაჩნია. მეორე მხრით, სოციალიზაცია მიწის საერთოს, საზიარო საკუთრებას მოასწავებს. და, ვფიქრობ, რომ აქ მარხია იმის მიზეზი, რომ სოციალისტ-ფედერალისტებმა ვერ გაბედეს და ვერა სთქვეს პირდაპირ, რაც გლეხებს ეწყინებოდათ.

და მესამე, სახაზინო გლეხების მიერ მიწების მითვისებისათვის პასუხისგებას სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტები ვერ იკისრებენ. მარტო სახაზინო გლეხები კი ვერ გაბედავენ ამგვარის ნაწილობითის აგრარული რევოლუციის მოხდენას, რომელსაც, უეჭველია, რუსეთის დამფუძნებელი კრება არ შეიწყნარებს.

მაშ, რა მიგვაჩნია ჩვენ შესაძლებლად? სამაზრომა და საგუბერნიო კომიტეტებმა ხელშეუხებლად უნდა დასტოვონ ჯერ მიწისმფლობელობის ის წესი, რომელიც დღეს სუფევს, მაგრამ უნდა მოაწესრიგონ სამართლიანი განაწილება მიწებზე დადებული გადასახადებისა. შეკრიბონ მასალები და წარუდგინონ დამფუძნებელ კრებას პროექტი მიწისმფლობელობის შეცვლისა. ჩვენი ფიქრით, ის სახნავი მიწები, რომელნიც ხელში უჭირავსთ სახაზინო გლეხებსა, და ტყეების განსაზღვრული ნაწილი უნდა გადაეცეს სახაზინო გლეხებს სასყიდლის გამოურთმევლად, როგორც კერძო საკუთრება, საძოვრები უნდა გადიქცეს საზიარო საკუთრებად, ტყეების დანარჩენი ნაწილი უნდა დარჩეს ვლავ თავისუფალი სახაზინო მიწები კი უნდა შეადგენდენ სახაზინო ფონდს, რომელიც ნაწილ ნაწილ უნდა მიეცეს მიწის მუშებს ან შესყიდვის წესით ან უსასყიდლოდ იმისდა მიხედვით, რა პირობებში იქნებიან მიწისმუშები და როგორი იქნება ხაზინის მდგომარეობა.

იმავე დროს სასურველია, მიწის საკითხის გადაჭრის უფლება მიენიჭოს საქართველოს ავტონომიას. ხოლო თუ ავტონომიის განხორციელება დაგვიანდა, მისი დაუყოვნებლივ გადაჭრა რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა მოვსთხოვოთ.

დასასრულ, ყოვლად შეუწყნარებლად მიგვაჩნია შემდეგი დადგენილება: „ახლავე უნდა აიკრძალოს მამულების ყიდვა-გაყიდვა და დაგირავება ან მემკვიდრეობით გადაცემა“, ნუ თუ ბანკმა ველარ უნდა გაყიდოს მასზე დარჩენილი მიწები? ნუ თუ კერძო მესაკუთრეს უნდა აეკრძალოს გაყიდვა მისი მამულისა იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ეს მისთვის აუცილებელია?!

ნუ თუ კრედიტორმა უნდა დაჰკარგოს გასესხებული ფულის საწინდარი? მაშინ ხომ მთლად აირეოდა, აიწეწებოდა და დაიშლებოდა ეკონომიური ურთიერთობა? ქონების მემკვიდრეობით გადაცემის გაუქმების შესახებ კი ლაპარაკიც მეტია, რადგან ეს ყოვლად შეუძლებელია, ვიდრე მთლად არ დანგრეულა კერძო საკუთრების საფუძველი.

ფრთხილად იყავით, მოქალაქენო! ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გადასჭერით და გახსოვდესთ მუდამ უკვდავი შოთას სიტყვები: „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა.“

ვასილ წერეთელი.

## კომპეტენცია.

რევოლუცია, როგორც მოგეხსენებათ, იმისთანა საზოგადოებრივი მოვლენა არის, რომელიც უარს ჰყოფს არსებულ სახელმწიფოებრივ წყობილებას. ძველი თითქმის ყველაფერი უნდა მოისპოს, იმის ადგილზე ახალი უნდა აღმოცენდეს.

რასაკვირველია, სახელმწიფო ცხოვრების განახლებას და გადახალისებას დრო უნდა. ეს განახლება მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა შეასრულოს. მაგრამ, სანამ დამფუძნებელი კრება იქნებოდეს მოწვეული, რევოლუციამ ზოგიერთ ძველ დაწესებულებათა ნანგრევებზე დროებითი ორგანოები წარმოშობა. ასეთია, გარდა უმთავრესი ორგანოისა, თვით დროებითი მართველობისა, კომისარები, აღმასრულებელი კომიტეტები და სხ., რომელნიც მთელ რუსეთში დაარსდენ. მაგრამ ამ დროებითს ორგანოებთან ერთად ზოგიერთი ძველი დაწესებულებებიც არ გაუქმებულან. მაგ. სხვადასხვა სახის სასამართლოები.

აქედან სჩანს, რომ ჩვენში ახლა არეული არიან ძველი და ახალი დაწესებულებანი.

რაღა თქმა უნდა, ამას ერთნაირი უხერხულება, ერთნაირი არევ-დარევა შეაქვს ცხოვრებაში. ხალხმა არ იცის, რომელ ორგანოს და რა საჭიროებისათვის მიმართოს. მეზობელმა მეზობელს პირობა დაურღვია. მომჩივანი აღმასრულებელ კომიტეტში მიდის საჩივლელად, იმის მაგიერ, რომ სამოქალაქო სასამართლოში მიიქცეს,

ეს გაუგებრობა მარტო მცხოვრებთ არ მოსდის. თვით კომიტეტებსაც ვერ გამოურკვევიათ თავისი კომპეტენცია. ეს, რასაკვირველია, იმიტომ ხდება, რომ არ არის, და რევოლუციის დროს არც მოსალოდნელია კანონი, რომელმაც დაწვრილებით და გარკვევით აღნუსხოს, რომელ დროებითს ორგანოს რა უფლება და მოვალეობა ექმნება მინიჭებული.

ამ უხერხულ მდგომარეობას, რაღა თქმა უნდა, შველა ეჭირვება. თვით გუბერნიის კომიტეტებმა, რომელიც უფრო განვითარებულ წევრთაგან შესდგება, შემთხვევების მიხედვით, უნდა აუხსნას პროვინციის კომიტეტებს იმათი უფლება და მოვალეობა. რასაკვირველია, აქ პრესაც უნდა დაეხმაროს.

თავის-თავად ცხადია, რომ აქ იურიდიულ მსჯელობას ნიადაგი არ ექმნება, ესე იგი ვერ მიუთითებთ იმ კანონზე, რომელიც ამა თუ იმ ორგანოს კომპეტენციას არკვევდეს. ჩვენ რევოლუციის თვალსაზრისით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

ავიღოთ სამი დაწესებულება: სასამართლო, კომისარი და აღმასრულებელი კომიტეტი.

სასამართლო ძველი რეჟიმის დაწესებულებაა. რევოლუცია იმას არსებითად არ შეხებია. სასამართლოს ის კომპეტენცია შერჩა, რაც რევოლუციამდი ჰქონდა.

კომისარი იმას ჰქვია, ვინც ძველი რეჟიმის მოხელის თანამდებობას ასრულებს. მაგ. იყო ძველი რეჟიმის დროს მაზრის უფროსი. იმის მაგიერ რევოლუციის დროს კომისარი დაინიშნა. აქედან ცხადია, თუ რა უფლება და რა მოვალეობა აქვს კომისარს: ის უფლება და ის მოვალეობა, რაც ძველი რეჟიმის დროს ჰქონდა იმ მოხელეს, რომლის თანამდებობას კომისარი ასრულებს.

დარჩა აღმასრულებელი კომიტეტები. ესენი წმინდა რევოლუციის ორგანოები არიან. ამათ განსაკუთრებული კომპეტენცია უნდა ჰქონდეს: უნდა ადევნონ თვალყური იმ მოვლენათა, რომელნიც ასე თუ ისე ხელს უშლიან რევოლუციის განვითარებას. ძველი რეჟიმის მოტრფიალე ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლა კომიტეტების უფლებასა და მოვალეობას შეადგენს. მაგრამ, როცა ზოგადი დანაშაულობაა, მაგ., ქურდობა, მკვლელობა, აგრეთვე სამოქალაქო საქმეები, —ესენი სასამართლოს ეკუთვნიან. გასარჩევად.

ასეთი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, დღევანდელ ორგანოთა კომპეტენცია.

დ. გურული.

## ვაყოვნებთ!

დიდმა რევოლუციამ ბევრი რამ ისეთი გვითხრა რის არ მოსმენა კარგს არაფერს გვიქადის მომავალში.

თუ კი რამე სამოქმედო ძალა გვაქვს, დღეს უნდა გამოვაჩინოთ. დღეს ორ ფრონტზე უნდა ვიმუშაოთ. მართალია, თავზე დიდი საერთო საქმე გვაწევს; ჩვენს წინ ბევრი საერთო საჭიროებანი წამოიჭრა, რომელთათვის ხელის არ გამოღება და არ დაკმაყოფლება მთელს მოპოებულ თავისუფლებას წყალში გადაუშვებს, მაგრამ ამ **საერთოსთან** ერთად ჩვენა გვაქვს ჩვენი, საკუთარი, შინაური საქმეები, საკუთარი მიზნები, რომლებიც **აუცილებლივ** საერთო თავისუფლების დაცვის პროცესში უნდა განხორციელდეს

ამ გზასა და ამგვარ მუშაობას მარტო ჩვენ არ ვთხოულობთ. ასეთი აუცილებლობა სხვა ერებმაც წამოაყენა ამ საერთო მოძრაობაში ამგვარად მუშაობას ხელი მიჰყო ყველა ჩვენსავით ჩაგრულმა ერმა. ასე აფოლადებს თავის ძალთა შემადგენლობას ფინეთი.

ასე ქმნის მძლე უკრაინის ერის ძალას უკრაინის რადა; ამაში ჰპოვებს თავის მოქალაქეობრივ ვალის ასრულებას ესტონელებისა, ლატიშებისა და სხვა პატარა ერთა საბჭოები და კომიტეტები.

ყველა პატარა ერი 27 თებერვლის აქეთ უკვე საკმაოდ ჩამოიქნა, ჩამოყალიბდა; ყველა ჩაგრულმა ერმა უკვე შეანაწევრა თავისი დაქსაქსული ეროვნული შემადგენლობა, დადგა ერთ პლატფორმაზე და დამფუძნებელ კრებაზე წარსადგენად თავის მოთხოვნილებათა შემუშავებას შეუდგა.

ჩვენ ქართველებიც როგორც ერი ერთ სოციალურ ორგანიზმს შევადგენთ და, როგორც ასეთი, ჩვენც ვსაჭიროებთ ამგვარ მუშაობას. მით უმეტეს, რომ ეროვნული სხეულის დარღვევის ფაქტი თვალ წინ გვიდგია; სასურსათო საქმე უპატრონოდაა მიგდებული; ეროვნულ დოვლათს რა ემართება აღახმა უწყის; ხოლო, რაც ყველაზე უფრო საჭიროა, ხალხში ქართულ სახელმწიფოებრივ სხეულის აღდგენის აუცილებლობის შეგნების გატანას, სასტიკად ხელს ვუშლით.

ქართულ ძალთა შემოკრებისა ერთ კალაპოტში ჩაყენებისათვის არავინა ფიქრობს.

ეროვნული ძალები მოგვეპოება, მაგრამ მათ შეერთებისათვის არაფერი კეთდება. საშვილიშვილო ცოდვას ჩავდივართ.

ჩვენ აღვნიშნეთ ეს გარემოება და მოუწოდეთ ქართველთ სხვა ერთა ფეხს არ გამორჩენოდა. და ჩვენ გვგონია, რომ ვინც ღრმად ჩაკვირებია ჩვენს ეროვნულ ტკივილებს, ის დაგვეთანხმება, რომ „არც სპარსელებს, არც ცეცხლმსახურებს და მუსულმანებს, არაბებს, მონგოლებს, კერპთ-მსახურებს თუ თურქებს იმისი მსგავსი არა ჩაუდენია რა, რაც ჩაიდინა **მაშინ** რუსეთმა.“ ხოლო **მაშინ** ჩადენილთა სამწუხარო შედეგს დღეს ნათლად ხედავთ. და სწორედ ამისთვის არის საჭირო ქართული ერთობა.

მოთხოვნილება ამ საერთო ძაფის გაბმისა წინადაც იყო. ამისათვის ეწამა მძლე პიროვნება არ. ჯორჯაძე და ნ. ჟორდანიამაც ხომ აღნიშნა, რომ „რაც უნდა ძლიერი იყოს კლასიური განხეთქილება, არის ისეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთად დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ უღელში ებმიან. ეს ქმნის იმას, რასაც ეწოდება ერი, ეროვნული ძალა.

აქ არის საერთო ფარგალი, ამას გარეთ სხვა ერია, ამას შიგნით კლასებია, ირგვლივ კი ეროვნული ძალა, ეროვნული კულტურა, ეროვნული მეობაა„-ო.

და სწორედ დღეს, ისე როგორც არასოდეს, მომენტმა ასეთი ეროვნული შენობის აგების აუცილებლობა წამოაყენა. გაფაციცებით თვალს ვადევნებთ იმას, იქნება თუ არა იგი შენობა, ვინაიდან ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ამ ეროვნული შენობის აგებაშია, თუ შეიძლება ითქვას უკანასკნელი ხსნას ტანჯულ ქართველ ერისა.

თუ კი რევოლუციისათვის რუბიკონი გადილახა, ქართულ ერთობას ჯერ კიდევ ძლიერ საგრძნობ მანძილზე ვართ დაშორებული. მისკენ ერთი ნაბიჯიკ არ გადადგმულა. საჭიროება ასეთი ერთობისა თითქმის ყველა ორგანოთა ფურცლებზე გამოითქვა, მაგრამ კვლავ ვკინკლაობთ, კვლავ ძვირფას დროს ვკარგავთ და ვაყოვნებთ.

ხოლო დაყოვნების დრო კი არის?

Lado.

## ო მ ი.

სტრატეგიის უმთავრესი მიზანია მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურება. დიდიან მსოფლიო ომის დაწყებიდან პრუსიის მთავარ სარდლობა ამ ტაქტიკას აწარმოებს. უკანასკნელ დროს გერმანელებმა მოულოდნელად შემოუტიეს სტოხოდთან მდგომ რუსის ჯარს, რომელ შემოტევასაც გარდა ცოცხალ ძალის მოსპობისა არა ვითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არა ჰქონია. ამ ჟამად გერმანელები ასეთივე ხერხით მოქმედებენ დასავლეთის ასპარეზზე. გერმანელები მოულოდნელად თავს ესხმიან მდ. სომმაზე ანკრზე ინგლის-ფრანგეთის ლაშქარს და გააფრთებულ ბრძოლის შემდეგ ისევ უკან იხევენ.

ასეთ მოულოდნელ თავდასხმებიდან ფრანგ-ინგლისელებს, რეიტერის სააგენტოს ცნობით, ორი კვირის განმავლობაში 70,000 კაცი დაკარგვიათ. თუ საზავო მოლაპარაკება 1848 წლის წესით მოხდა, მაშინ სამშვიდობო კონგრესზე იმ მხარეს მიენიჭება უპირატესობა, რომელსაც მეტი საომარი ძალა ეყოლება. ამას ითვალისწინებს გერმანეთი და სცდილობს, რაც შეიძლება მეტი ცოცხალი ძალა მოუსპოს მოპირდაპირეს.

ბრძოლის ასპარეზთა შორის ისევ კავკასიის ფრონტი იქცევს ყურადღებას. ოსმალთა მე-5 არმიას ვანის სამხრეთით მძაფრი შემოტევა დაუწყია. კავკასიის ასპარეზზე ბრძოლის ინიციატივა მოპირდაპირის ხელში გადასულა. თუ ოსმალთა ჯარმა ვანის წინააღმდეგ ენერგიული ოპერაციები აწარმოვა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალთა სამხედრო ბანაკს განზრახულ აქვს ვანის გზების ხელში ჩაგდება და რუსის ჯარის ზურგიდან მოქცევა.

თუ რა ხდება სპარსეთში ან მდინარე დიალის ნაპირზე, ამის შესახებ სამხედრო ბანაკის ცნობა არაფერს გვაუწყებს.

ჯიბ.

## წერეთლის სიტყვა.

**პეტროგრადი.** მაისის 13. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში ფოსტა ტელეგრაფის მინისტრმა წერეთელმა პირველად ილაპარაკა. შეეხო რა საგარეო-პოლიტიკას, მინისტრმა სთქვა: მთავრობის დეკლარაციას მიზნად ჰქონდა ომის დაბოლოვება უკონტრიბუციო და უანექსიო ზავით და ერთა თვითგამორკვევს უფლებითაო. ჩვენ, სოციალისტებს, ძლიერ გვაინტერესებდა თუ როგორ შეხედავდენ ჩვენს დეკლარაციას მოკავშირე სახელმწიფოები. იმიტომ ყოველ საშუალებას ვხმარობდით, რომ სისწორით გაგვეგო და გამოგვერკვია მოკავშირე ქვეყნების დამოკიდებულება ჩვენთან. მათს ელჩებს ჩვენ გავაცანით რუსეთის დემოკრატიის ის უმთავრესი პრინციპები, რის განხორციელებაც ეხლავე აუცილებელია. ჩვენ გვეკითხებოდენ—საჭიროდ სთვლით თუ არა ხელშეკრულებების შესწორებასაო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ მთავარ მუხლებში გაუგებრობა არ არსებობს, წვრილ საკითხებში კი შეიძლება შევთანხმდეთო. მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩებმა გვითხრეს, რომ ჩვენ ფრთე წამოყენებულ ლოზუნგს—ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოთ—ისინიც იზიარებენ. ამ განცხადებას ჩვენ ისე ვიფიქრეთ, რომ როგორც რუსეთის დემოკრატიის დიდ გამარჯვებას. ჩვენ ამასთანავე საჭიროდ ვცნობთ რომ ახლავე მოინახოს გზა, რომლითაც შემდეგ შეიძლებოდეს ყველა ქვეყნის დემოკრატების შეთანხმება. ინგლისის ელჩთან ვისაუბრეთ იმის შესახებ - გაუწევს თუ არა წინააღმდეგობას ინგლისის მთავრობა ინგლისის და რუსეთის დემოკრატიების შეერთებას. ელჩმა ამის შესახებ თავისი მთავრობის აზრი არ გვითხრა, მაგრამ თავის მხრით სთქვა, რომ რუსეთის დემოკრატია უნდა იყოს თავისუფალი და დამოკიდებულება ინგლისის და რუსეთის დემოკრატიის შუა ძმური უნდა იყოს. თავის მხრით ელჩი ამაში დახმარებას დაგვპირდა.

რაც შეეხება შინაურ საქმეებს, ჩვენ მთავარ საკითხს შეადგენს დამფუძნებელი კრების მოწვევა. ამას გარდა ჩვენი ყურადღება მიქცეული იყო ეკონომიურ საკითხზე. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ქვეყანა ეკონომიურ კრიზისს დაახწიოს. ახალმა მთავრობამ უკვე სთხოვა შრომის და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრებს ამ მოკლე დროში მოქმედობის პროგრამა შეიმუშავონ. ამას გარდა ჩვენ მივაქციეთ ყურადღება სახელმწიფო დაწესებულებაში მომუშავეთ. მათი მდგომარეობა მეტისმეტად უნუგეშოა. საჭიროა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომები იქმნას მიღებული.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 12 მაისი. ოფიციალი. გერმანელებმა სასტიკად დაუშინეს ჩვენს თხრილებს ლაონის მიდამოებში. და სასტიკი იერიშები მოიტანეს ჩვენს წინააღმდეგ. მიუხედავათ დიდი ზარალისა, გერმანელებმა შესძლეს ზოგიერთ მნიშვნელოვანი პუნქტების ხელში ჩაგდება. წამოვიყვანეთ 55 ტყვე. წამოვიღეთ 2 ტყვიის მფრქვეველი და სამი საველე იარაღი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. ასპარეზის დანარჩენს ადგილებში საარტილერიო სროლა სწარმოებს.

**ჰავრი.** 12 მაისი. ოფიციალი. მთელს ასპარეზზე საარტილერიო სროლაა. აგრეთვე ბრძოლა სწარმოებდა ხელის სასროლ ყუმბარების შემწეობით.

**ლონდონი.** 10 მაისი. ოფიციალი. ჰინდერბურგის ხაზით. მიულეკურის მიდამოებში ჩვენი არტილერია ენერგიულად უპასუხებდა მტრის სასტიკ მოქმედებას. დღეს ჩვენ მოვახდინეთ, რამდენიმე თავდასხმა. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

**პარიზი.** 15 მაისი. ოფიციალი. შემ-

## ჩვენი გლეხობა და ჩვენი პარტიები.

**სადღეისო განცდანი.**

(შემდეგი, იხილეთ „ჩვ. ქვ.“ № 30).

ვინც კი ცოტათი მაინც დაჰკვირვებია საქართველოს ისტორიას, თუნდა თამარის დროიდან მეცხრამეტე საუკუნის გასვლამდე და რუსეთთან შეერთებიდან დღევანდლამდე, და შეუდარებია თანამედროვე ქართველის რაობა ძველი ქართველისათვის, ის დამეთანხმება, რომ უკანასკნელი დროის საქართველო მხოლოდ მაჩანჩალა, მხოლოდ ნატერფალია ძველი დროის საქართველოისა, **არა გარეგნობით**, არა იერით, არამედ **სულით** თავისებურობით, გულისთქმით, მისწრაფებით.

ძველ ქართველსა და საქართველოს დამუშავებული ჰქონდა თავისი საკუთარი აზრი ცხოვრებაზე, დამუშავებული ჰქონდა გამოთქმა ამ აზრისა,—მეცნიერება, ფილოსოფია, მწერლობა.

უწინდელ ქართველსა და საქართველოს ჰქონდა თავისი საკუთარი სამართალი, სჯულდება, სოფლმხედველობა,—გონების საკუთარი ლარი და...

დღევანდლამდე საქართველოს რომ ევლო ბუნებრივ განვითარების გზაზე,—მე ვამტკიცებ,—საქართველო დღეს უწარჩინებულესს და უუსრულესს ქვეყნად ჩაითვლებოდა ევროპა-აზიაში და, თუ ვერ შეეტოლებოდა უკვე ცნობილ ქვეყნებს, იქამდე უილაჯო მაინც არ იქნებოდა, რომ თავისი უფლებანი არ მოეთხოვნა და არ დაეცვა კიდეც!

ახლა რა ვართ?

„თავი ჩვენი საწყალ ფურად გაგვიხდია“ და იქამდე დავძაბუნებულვართ, რომ ჩვენს სამშობლოში, ჩვენს სახლში, ხმა ველარ ამოგვიღია და ეროვნული დროშა შეგინებისაგან ვერ დაგვიფარავს.

ან კი როგორ დავიფარავთ, როდესაც მეცხრამეტე საუკუნიდან საქართველო აღარ არსებობდა,—როგორც სწორი სწორთა წრეში, როგორც ზნეობრივ—ფიზიკური ძალა, როგორც ხმამაღალი მაყარი კავკასიონისა...

მისი სახელიც კი ამოშალეს თავისუფალ ქვეყანათა სიიდან,—გეოგრაფიის ნომენკლატურიდან და ძველი ბუდე ფრთამაგარ არწივებისა, კავკასიის უბრალო უბნად გადააქციეს!... და...

დღეს,—რუსეთის ხალხთა ამ საერთო გათავისუფლების დღესაც-კი—რომელ გათავისუფლებასაც მეთაურობენ საქართველოს შვილნი—იძულებულნი ვართ ფეხშიშველა ობოლივით მწარედ ვოხრავდეთ და ნაცარ-ქექიასავით ბუხარში ვძვრებოდეთ!

რათა, რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?

— —

მართალია, ერთი დიდად პატივცემული და გავლენიანი ქართველი. სოციალ დემოკრატი ამ ორი-სამი წლის წინად ამტკიცებდა, რომ საქართველოს მოქალაქეობრივი ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნიდან დაიწყო და განათლება ჩვენში მხოლოდ რუსეთმა შემოიტანაო, მაგრამ მე კი უბრალო, უბირი ქართველი კაცი, ვამტკიცებ, რომ რაც **გარეგნობით** შეგვემატა ამ ასს წელიწადში, ასი და ათასი ამდენი წაგვართვა რუსეთის სკოლა-ჟანდარმ-პოლიციამ **შინაგანად**!

წაგვართვა თავისუფლება, წაგვართვა მშობლიური აღზრდა, წაგვართვა საკუთარი აზროვნება, საკუთარი მოფიქრება, წაგვართვა საკუთარი კულტურა და მეცნიერება, წაგვართვა საკუთარი სარწმუნოება, წაგვართვა ერთ-სულოვნობა, ერთ გულოვნობა, გრძნობა მამულიშვილობისა, გრძნობა თავმოყვარეობისა და გადაგვაქცია სულით გლახაკად, ფიქრით კნინად, აზრით ორჭოფად. ხასიათით უმეხად, უზრდელად, ბრიყვად!

იმ დღეს ვაგონში კინაღამ მომკლა ერთმა **ქართველმა** სალდათმა საქართველოსა და მის ავტონომიის ხსენებაზე.

ამას წინად ერთმა **ქართველმა** ნოქარმა კინაღამ მცემა იმის პარტიის ერთი სულელი პროპაგანდისტის დაწუნებისთვის!

გუშინ ქართველმა ხელოსნებმა კინაღამ გამწეწეს მათი უდიერი და უაზრო, წარმოუდგენელ მოთხოვნილებათა მხილებისათვის!

ახლა გაბძანდით სოფლად და ნახეთ, რა ამბავია? აღარც ზრდილობა, აღარც პატივისცემა, აღარც სალამი, აღარც მოსმენა, აღარც სამართლიანობა, აღარც თავაზიანობა!..

ყველა იძახის **მომეცი** და თითონ **რაღა მოეთხოვება**, ამას კი აღარავინ დაგიდევს.

გუშინდელი ღლაპი ჰკუას გარიგებს და ცხვრის ტყავში გახვეული მატყუარა, სოფლის მბრძანებელი გამხდარა...

გლეხობა კი, დაბრიყვებული, დამფრთხალი, დაშინებული გლეხობა, — ცხვრის ფარასავით პირდაღებული, შეჰყურებს მის ცხოვრებაზე, მის ინტერესებზე მის პირ ვარამზე ცა და დედამიწასავით დაშორებულ ათასგვარ სისულელის მოქადაგეს და დაჩივლებაც ველარ გაუბედნია!

შიგა და შიგ დადიან შეიარაღებული, ახალი უფლებით მოსილნი ყმაწვილები, იბღვირებიან, იმუქრებიან, ილანძღებიან, გაფაციცებით დაეძებენ ,,სხვა პარტიის კაცს'', ერეკებიან, ედევნებიან...

— ამხანაგებო! რადგანაც რომა დაიმსხვრა...

გაჰკივის მაღლობზე გადმომდგარი მოქადაქე.

— აი, ისე ღმერთი გაგიწყრა: რაც შენ ჩემი ამხანაგი არ იყო... როცა ჩემი სამი შვილი ომში მიჰყავდათ, შენ ბუჩქებში იმალებოდი, ახლა კი შენი ამხანაგი გავხდი?.. ვაიმე, შვილებო, ვინ იცის, რა დღე გადგიათ?!.. ნაღვლიანად ბუდბუტებს ყავარჯენზე ხელებითა და ნიკაპით დაყრდნობილი მოხუცი გლეხი და თან მოწიწებით მისჩერებია „მქადაგებელს“. ემინია არ შეამჩნიოს მისი უკმაყოფილება.

— ამხანაგებო! რადგანაც რომა დაინგრა... ხელების ქნევით ძლევა მოსილად გაიძახის კვლავ მქადაგებელი...

— გავიგეთ, მერე ჩვენ რაო?—ბუტბუტებს ხალხი, ოხრავს, ერთმანეთს ქვეშქვეშ გაჰყურებენ და მათ სახეზე კრთის მწარე ღიმილი, გლეხური დამცინავი ღიმილი ენდობლობისა, უიმედობისა, ულაჯობისა...

— —

მე ვამბობ... მე მოვითხოვ, რომ სოფლად **პარტიებისაგან იგზავნებოდენ** გამოცდილი, გამობრძმედილი მქადაგებელნი, მცოდნენი ხალხის სულის კვეთებისა მისის ისტორიისა, მისი ჭირვარამისა, მი-

პანში მტერმა ორჯერ განაახლა იერიშები ჩვენი პოზიციების წინაალმდეგ. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მაღლობ 304-თან მტრის არტილერიამ ენერგიული მოქმედება გამოიჩინა.

უფეოლცის მიდამოებში ჩვენი რაზმი შეიჭრა მტრის თხრილებში და წამოიყვანა რამდენიმე ტყვე.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 10 მაისი. ოფიციალი. ხდებოდა წვრილ-წვრილი შეტაკებები. ტრანვილონის მიდამოებში მოხდა გაცხოველებული ბრძოლა. მტერმა სასტიკი ცეცხლის დაშენით გაანადგურა ჩვენი თხრილები მაღლობ 2512-ის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში. მიუხედავათ სასტიკი წინაალმდეგობისა მტერმა იერიშების მიტანა განაგრძო ჩვენს წინაალმდეგ. სასტიკი ბრძოლის შემდეგ წამოვიყვანეთ 60-მდის ტყვე, მათს შორის ერთი ოფიცერი.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 16 მაისი. ოფიციალი, რუმინიის და აღმოსავლეთის ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 16 მაისი. ოფიციალი. ოსმალები სცდილობდენ მოახლოებოდენ ჩვენს თხრილებს ვანის მახლობლად, მაგრამ მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.**

**პარიზი.** 15 მაისი. ოფიციალი. ჩვენმა მფრინავებმა გააძლიერეს ინტენსიური მოქმედება ბაკარანანსის მიდამოებში მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს. ზარალი არ ყოფილა. ჩვენი საჰაერო რაზმები განაგრძობდენ მტრის თავზე ფრენას. ჩამოაგდეს 7000 კილოგრამი ამაფეთქებელი ნივთიერებისა. განადგურდა მტრის სამხედრო მასალები. ტიონვილის მიდამოებში ჩამოვაგდეთ მტრის 9 აპარატი.

**პეტროგრადი.** 16 მაისი. ოფიციალ. ბილიესიჩის მიდამოებში ერთი ჩვენი მფრინავი შეებრძოლა მტრის 3 ჰაეროპლანს. რამდენიმე წამის ბრძოლის შემდეგ მტრის მფრინავებმა დასძლიეს ჩვენი მფრინავი და ჩამოაგდეს.

**ზღვაზე.**

**პეტროგრადი.** 16 მაისი. ოფიციალი. ჩვენმა გემებმა ანატოლიის ნაპირებზე გადმოსხეს მცირე ჯარი, რომელმაც გაანადგურა ჟანდარმთა სადარაჯოები.

---

# საჭიროა აგენტები.

მიაკითხეთ „ჩვენი ქვეყნის" კანტორაში.

---

# მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

---

# მამულიშვილნო

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი ვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის" რედაქციის კანტორაში.

---

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

**დეპეშები**

**კერენსკის დასწრება სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის დელეგატთა ყრილობაზე.**

**პეტროგრადი.** 12 მაისი. სამხედრო მინისტრი კერენსკი დაესწრო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის დელეგატთა ყრილობას. კრების თავმჯდომარე ყრილობის სახელით მიესალმა კერენსკის და მოახსენა, რომ სამხრეთ-დასავლეთის ჯარი ნდობით ეგებება თქვენს სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნასო.

კერენსკიმ მიმართა კრებას: მე მოვედი არა მისთვის, რომ მივიქციო თქვენი ყურადღება, როგორც ორატორმა, არამედ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ მოვლენას, რომელიც მდგომარე მომენტში აღელვებს მთელ. რუსეთს. ეს არის თავისუფლების დაგვირგვინების საქმე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ უკვე მოპოებულ თავისუფლებას მრავალი მსხვერპლი შეეწირა. რუსეთის დემოკრატიამ გადადგა წინ ნაბიჯი და დაამხო თვით მპყრობელობა, ამ უმაგალითო ომის დროს შეგნება გვიკარნახებს რომ განვამტკიცოდ უკვე მოპოებული თავისუფლება მშრომელ ხალხს ბედნიერება თავის თავად არ მიენიჭება: თუ ამისათვის იგი თავს არ დასდებს და არ იბრძოლებს. სანამ ვიფიქრებდეთ იმაზე, თუ არ უნდა გავაკეთოთ ხვალ, უნდა თვალი გადავავლოთ წარსულს. ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ დამარცხებული არ შევიქნეთ თავისუფლების განმტკიცების საქმეში. მე მრწამს შემოქმედებითი ძალა რუსის ხალხისა და ვიმედოვნებ, რომ იგი განამტკიცებს რუსეთის თავისუფლებას. ამასთანავე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ჯარში დაცული იქნება დისციპლინა, რომელიც მიგვიყვანს სრულს გამარჯვებამდის. შემდეგ ამისა კერენსკი მიუბრუნდა ჯარის მთავარ სარდალს ბრუსილოვს და უთხრა: ჯარი თქვენს სურვილებს განახორციელებს, ყველა მათგანი წავა იქ, სადაც თქვენ უბრძანებთო.

**ტელეგრაფის გაფიცვა**

**პეტროგრადი.** 11 მაისი. ძლიერმა ქარბუქმა გააფუჭა ტელეგრაფის ბოძები და მავთულები: რიბინსკის ყაზანისა, ხარკოვისა, ტამბოვისა, ომსკისა, ირკუტსკისა, ეკატერინებურგისა, სარატოვისა, დონის როსტოვისა და ოდესისა. ახლო მომავალში მოწესრიგების იმედი არ აქვთ ვინაიდან ყველა ბოძები წაქცეული არის.

**გლეხთა ყრილობა.**

**კალუგა.** 12 მაისი. გაიხსნა საგუბერნიო გლეხთა ყრილობა. დაესწრო 300 მდი დელეგატი.

ყრილობამ მისალოცი დეპეში გაუგზავნა დროებით მთავრობასა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

**საოლქო ყრილობა.**

**ცარიცინი.** 12 მაისი იურიევის მაზრის მორლივინის საოლქო ყრილობამ დადგინა ის პირნი რომელნიც სამხედრო ბეგარას გაურბიან და თავს იფარავენ სხვადასხვა ქარხნებში, მოვალენი არიან 25 პროცენტი შემოსავლიდან გადასცენ ომში გაწვეულ ოჯახთა სასარგებლოთ. წინაალმდეგ შემთხვევაში. გამოეცხადოს მათ ბოიკოტი და მათი სახელი და გვარი გამოქვეყნებულ იქნას გაზეთებში.

**დეზერტირები.**

**ვიტებსკი.** 12 მაისი. გაიმართა მიტინგი, რის შემდეგაც 600-მდის დეზერტირი გამოეცხადა სამხედრო უფროსსა და მოითხოვეს ფრონტებზე გაგზავნა.

**დასავლეთის ასპარეზის მთავარ სარდლის დადგენილება.**

**მინსკი.** 13 მაისი. თანახმად დასავლეთის ასპარეზის მთავარ სარდლის დადგენილებისა, ბარანოვიჩსა, პოლოცკსა, მინსკსა და მოზირში შესვლა სამხედრო შტაბის ნება დაურთველად აღკრძალულია.

**ექიმთა სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ.**

**პეტროგრადი.** 13 მაისი. ახლო მომავალში ექიმთა სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა საგუბერნიო კომისარებს, რომ გამოუცხადონ იმ ექიმებს, რომელთაც 50 წელი არ აქვთ შესრულებული 1 იანვრამდის 1917 წლისა ვალდებულნი არიან არა უგვიანეს 25 მაისისა ყოველგვარი ცნობები წარუდგინონ თავიანთი თავის შესახებ საგუბერნიო სამხედრო საბეგრო საკრებულოს.

**ქალთა უმაღლესი სასწავლებელი.**

**პეტროგრადი.** 13 მაისი. განათლების მინისტრმა ნება დართო ყაზანის უმაღლეს კურსების მომწყობ საზოგადოებას მომავალი შემოდგომიდან გახსნას ქალთა უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიაც შესვლის ნება ექნებათ ვაჟებსაც.

**გაფიცვები.**

**კიევი.** 13 მაისი. ბეჭვდითი საქმის მუშების გაფიცვები გრძელდება. სტამბის მეპატრონეებმა საჭიროდ სცნეს დაარსდეს მათ შორის მომრიგებელი კამერები. მუშაობას განაგრძობენ მხოლოდ გაზეთებზე მომუშავენი.

**ტყვეობიდან გამოქცეულნი.**

**ქრისტიანია** 12 მაისი. ჩამოვიდნენ ტყვეობიდან მეორედ გამოქცეულნი ღენერალ ასტახოვი, მფრინავი კისელევი, და ბარატიანი.

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მოწოდება.**

**პეტროგრადი.** 13 მაისი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებმა შემდეგი მოწოდება გამოსცეს: ამხანაგნო ჯარის კაცებო! ორი თვე იქნება რაც რომ ვცდილობდით გაგვემტკიცებია ყველა სამხედრო მოსამსახურეთათვის სავალდებულო კანონპროექტი. რევოლუციურის გზით ჩვენ დავამხეთ ცარიზმი. თქვენ გახდით თავისუფალი მოქალაქეები. კანონის ძალით მოვსპეთ განსხვავება თქვენსა და ოფიცერთ შორის. მე-12 პუნქტი ახალ დადგენილებათა ცხადჰყოფს თქვენს თავისუფლებას და მონური ცხოვრებიდან გამოსვლას თვენ დღეის შემდეგ მიესალმებით მხოლოდ ისეთ უფროსებს ვისაც თქვენი სიყვარული აქვს დამსახურებული და ვისაც გინდათ.

გაუმარჯოს თავისუფალს, შეგნებულს ჯარის კაცს დისციპლინის დაცვა ჯარში საჭიროა და ამას მოითხოვს თქვენგან განთავისუფლებული რუსეთის ინტერესები. თქვენ უნდა დაუმტკიცოთ ყველას, რომ თავისუფალ მოქალაქე ჯარის კაცთა შემადგენლობა უფრო ძლიერია ვიდრე მრავალი რიცხვოვანი, მონობის ქვეშ მყოფი მხედრობა

**ცეცხლი.**

**მინსკი.** 12 მაისი. დაბა სვეიაჩკეში ცეცხლმა იმსხვერპლა 186 სახლი.

ფრონტის ახლო მახლო მდებარე ადგილებში მეორე დღე არის რაც ცეცხლი მძვინვარებს. ცეცხლი გაუჩნდა აგრეთვე სახელმწიფო ტყეს.

დაბა ლიაკოვიჩაში გერმანელების მიერ ჩამოყრილ ყუმბარებმა ცეცხლი გააჩინეს. დაიწვა 40-მდის სახლი.

**ტყეებში შესვლა.**

**ჟიტომირი.** 13 მაისი. გლეხები შეესიენ კერძო მესაკუთრეების ტყეებს. მეპატრონეთა ზარალი დიდია.

**ემიგრანტების ჩამოსვლა.**

**ქრისტიანია** 12 მაისი. ჩამოვიდენ რუსის ემიგრანტები.

**ებრაელთა ყრილობა.**

**კიევი.** 12 მაისი. ებრაელების საოლქო ყრილობამ დაადგინა მიეცეს ებრაელებს კულტურული ავტონომია ცენტრალ წარმომადგენლობის უფლება და პროპორციულ არჩევნების კანონი ორივე სქესისთვის.

---

## ახალი ამბავი.

სამხედრო ბეითალმა გრიგოლ იაკობის ძე კამენსკიმ ქუთაისის ქალაქის ბიბლიოთეკას ორასამდე წიგნი და სამასი მანეთი ფულათ შემოსწირა, რისთვისაც ბიბლიოთეკის გამგე უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

◆ ქუთ. სახაზინო პალატის გარშემო. ბ-ნ იაკობ ფანცხავამ აღმ. კომიტეტში კითხვა აღძრა: გამოქვეყნებულ იქმნას სახაზინო პალატის იმ მოსამსახურეთა სია, რომელთა დათხოვნაც ახლო მომავალში განზრახულია.

◆ მილიციის შტატი. ამიერ. კავკ. მთავ. კომიტეტი სთხოვს ქუთ. აღმ. კომიტეტს გაუგზავნოს მას ქუთ. სახ. მილიციის ინსტრუქცია.

◆ საღამოს გადადება. 20 მაისისთვის დ. ზესტაფონში დანიშნული ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის საღამო, გადადებულ იქმნა 21 მაისისთვის. საღამო გაიმართება იმავე პროგრამით.

◆ ქალაქის თავდაცვის საქმე. ბ—ნმა გრ. ურატაძემ აღმ. კომიტეტში განაცხადა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოდან გამოყოფილი კომისია, რომელიც დღემდის ჯარისკაცებიდან შემდგარ მილიციით ქალაქს იცავდა 16 მაისიდან გადადგა, და ახალ თავდაცვის მილიციის შედგენაა საჭირო. ამ კითხვის შესახებ 17 მაისს აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს თათბირი ქონდა.

◆ **ქალაქის არჩევნები.** ბ-ნი ი. ჩიქოვანი აღმასრულებელ კომიტეტს აცნობებს, რომ ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის წინადადებით ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს ქალაქის არჩევნები.

◆ ვანის რაიონის საზ. კომიტეტი ცალკე კომიტეტად გამოიყო. ამის გამო მაზრის კომისარი ბ-ნი ბერძული თხოულობს, ვანის კომიტეტს საქმის საწარმოებლად მიეცეს საჭირო თანხა.

**პროვინცია.**

◆ **დ. ხარაგოული.** 16 მაისს ადგილობრივ რკინის გზის სადგურზე ავეტოს მოსესიანს ღვინო დაუჭირეს რომელიც თბილისში მიჰქონდა.

◆ პარასკევს 19 მაისს ხარაგოულში გაიმართება დიდი საჯარო მიტინგი, რომელსაც საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები დაესწრებიან.

◆ **დ. ახალისენაკი.** ადგილობრივმა კოოპერატივმა მიიღო დიდძალი შაბიამანი და გოგირდი. მსურველთ უნდა მიმართონ კოოპერატივის გამგეს.

◆ ასტრახანის აღმ. კომიტეტი სთხოვს ქუთ. აღმ. კომიტეტს საჩქაროდ აუწყოს ცნობები პროვაკატორობაში შენიშნულ [illegible]ქიპაძის შესახებ.

◆ სამხედრო ბეგარის კითხვა. ბ-ნ ჯაფარიძეს წინადადება შეაქვს აღმასრულებელ კომიტეტში რომ ზუგდიდის სენაკის და ოზურგეთის მაზრების დეზერტირების და იმ პირთა გამოცხადების ვადა რომელთაც სამხედრო ბეგარა ეხებათ, ნაცვლად 15 მაისისა გადადებულ იქმნას 15 ივნისამდე. აღმ. კომიტეტმა ეს წინადადება განსახილველად მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს გადასცა.

---

## სამხედრო პირთა უფლებანი და მოვალეობანი

**პეტროგრადი.** მაისის 13. ბრძანება არმიას და ფლოტს. ვუბრძანებ არმიისა და ფლოტის ცხოვრებაში 1917 წ. მარტის 7 მთავრობის დეკლარაციის მეორე მუხლთან შეთანხმებული შემდეგი ძირითადი წესები შემოიღონ: 1) სამხედრო პირებს მოქალაქის ყველა უფლებები აქვთ, მაგრამ ყველა სამხედრო პირი ვალდებულია თავის მოქმედება სამხედრო სამსახურს და დისციპლინას შეუთანხმოს. 2) ყოველ სამხედრო პირს უფლება აქვს იყოს პოლიტიკურ, ნაციონალურ, სარწმუნოებრივ, ეკონომიურ და პროფესიონალურ ორგანიზაციის, საზოგადოების ან კავშირის წევრი. 3) ყოველ სამხედრო პირს შეუძლია სამსახურს გარეთ თავისუფლათ გამოსთქვას თავისი პოლიტიკური, სარწმუნოებრივი ან სოციალური აზრი სიტყვით, წერილობით თუ ბეჭდვით. 4) სამხედრო პირთ რწმენის თავისუფლება აქვთ, ამიტომ არავის ნება არა აქვს აუკრძალოს მათ რა სარწმუნოებაც ჰსურთ ის იწამონ, არავის ნება არა აქვს ძალა დაატანოს რომელიმე სარწმუნოების წესები შეასრულოს და წირვაზე დაესწროს. საერთო ლოცვაზე დასწრება სავალდებულო არ არის. 5) ყველა სამხედრო პირი ექვემდებარება მოქალაქეთათვის საზოგადო სავალდებულო წესებს. 6) ყველა ნაბეჭდი გამოცემები პერიოდული თუ არა პერიოდული დაუბრკოლებლივ უნდა გადაეცეს ადრესატს, 7) ყველა სამხედრო პირს შეუძლიან სამსახურს გარეთ თავისუფალი ტანისამოსი ჩაიცვას, ხოლო სამხედრო ტანისამოსი ყოველთვის სავალდებულოა იმათვის, ვანც მომქმედ ჯარში ან სამხედრო წრეებშია. 8) სამხედრო პირთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების დროს სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო დისციპლინას და დამყარებული უნდა იყოს ურთიერთ პატივისცემაზე და თავისუფალ რუსეთის მოქალაქის ღირსების გრძნობაზე; 9) განსაკუთრებული სიტყვები, რომლებიც ჯარში ხმარებაშია როგორც მაგალითად: „Такъ точно", „никакъ нѣтъ", „не могу знать", „радъ стараться", „здравья желаемъ", покорно благодарю" უნდა შეიცვალოს ამ სიტყვებით: „დიახ", „არა", „არ ვიცი", „ვეცდებით", „გამარჯობათ" და სხვა; 10) „დენშჩიკებათ" ჯარის კაცების დანიშვნა ისპობა, ხოლო იმ ადგილებში, სადაც მოსამსახურეების შოვნა ძნელია, როგორც მაგალითად მომქმედ ჯარში, ფლოტში, გემებზე და სხვაგან დროებით „დენშჩიკები" დარჩებიან. ამის საჭიროება კი პოლკის კომიტეტმა უნდა გამოიკვლიოს. აფიცრებს და სამხედრო ექიმებს ნება ეძლევათ იყოლიონ შიკრიკები. ასეთივე ნება ეძლევათ სამხედრო მღვდლებს და მოხელეებს; 11) ის შიკრიკები, რომლებიც პირად სამსახურს ეწევიან არ თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისგან: 12) სამხედრო სალამი („ჩესტი") არა-სავალდებულოა, სამაგიეროთ სურვილისამებრ მისალმება. ცერემონიალის, და (მარხვის და სხვა დროს „კამანდებში" და ჯარის ნაწილებში სამხედრო პატივისცემა ისევ რჩება. ბრძანება „წყნარათ" სმირნო) ისევ ისე რჩება როგორც წინედ იყო, 13) იმ სამხედრო ოლქებში, რომლებიც ბრძოლის ველზე არ არიან, სამხედრო პირთ უფლება ეძლევათ, სამსახურის შემდეგ თავისუფლად წავიდნენ ყაზარმებიდან და გემებიდან, მხოლოდ ყოველ შემთხვევაში თავის უფროს უნდა შეატყობინონ და პიროვნების მოწმობა მიიღონ, ჯარის ყველა ნაწილებში უნდა დარჩეს მორიგე როტა. გემებიდან კომანდის

---

სი ზნე ჩვეულებისა, მისი მისწრაფებისა!

მე ვამბობ... მე მოვითხოვ, რომ სოფლად, სოფლის ხელმძღვანელებად ირჩეოდენ სოფლისაგანვე ნდობით აღჭურვილნი გლეხები განურჩევლად „პარტიული" რწმენისა, ვინაიდგან მე ვამტკიცებ, რომ გლეხი არც ერთი „პარტიისა" არ არის. იმას თავისი საკუთარი რწმენა აქვს.

მე ვამბობ... მე მოვითხოვ, რომ ნუ დადიან მიტინგების დროს შეიარაღებული მილიციონერები, ნუ აშინებენ ხალხს, ნუ ემუქრებიან, ნუ უშტიალებენ მას!

რით ვერ ეყო ჩვენს გლეხს მათრახები და სტრაჟნიკები? რით ვერ ეყო გლეხს დამცირება და გაბიაბრუება? რით ვერ ეყო ჩვენს გლეხს შევიწროება და შეშფოთება?..

მე ვამბობ... მე მოვითხოვ, რომ სოფლის საკითხში ან შეერთდენ **ყველა პარტიები**, გამოიმუშაონ ერთი აზრი, ერთი გეგმა სოფლის დაცვისა და გამხნევებისათვის, ვინაიდგან სოფელია ქვეყნის მაცხოვრებელი, სოფელია ბურჯი ერისა, საქართველოისა, ან არა და ჩამოშორდენ სოფელს და თვით გლეხებს მიანდონ თავისი საქმეების გადაწყვეტა, მაგრამ...

მაგარი ის არის, ჩვენდა საუბედუროდ და სავალალოდ, რომ სწორედ აქა სჩანს ის დაკნინება გრძნობათა, ის არევ-დარევა აზრთა და ფიქრთა, ის დაშორება და დაბნელება მშობლიურ, ხალხოსნურ ზრახვათა, ის შეუგნებლობა პოლიტიკურ-ეკონომიურ მოთხოვნილებათა რომელიც შეგვძლვნა უცხოთა ფეხის აყოლამ და ძველი რუსეთის ასი წლის ვერაგულმა მოპყრობამ.

ეს მოპყრობა კი ადგა იმ გზას, რომ ჩვენში ჩაეკლა ყოველივე გრძნობა ურთიერთობისა: გაეთიშნა კაცი კაცისაგან, სოფელი—სოფლისაგან, ქალაქი—ქალაქისაგან, მეზობელ—მეზობლისაგან, მასწავლებელი — მოწაფისაგან; დაევიწყნა ჩვენთვის წარსული ჩვენის ხალხისა, ენა ჩვენის ერისა, გულისთქმა ჩვენის ქვეყნისა და შეექმნა ისეთი „კაკაფონია", რომ ძაღლს პატრონი ველარ ეცნო.

ამას ზედ დაერთო ეკონომიური ცვლილებანი ჩვენის ქვეყნისა,—უმწეობა და ჩამორჩენა ჩვენის მშრომელი ხალხისა, ხრიკები და ქსელები მეჯლანუაშვილებისა, სიძულვილი და შურის-ძიება მოსული მოხელეებისა, ჯაშუშობა და ორპირობა უფროსთა, დაკნინება და ლაწვრილმანება უმცროსთა და...

დღეს, ამ თავისუფლების დღესაც-კი საქართველო, ბებერი, მაგრამ მაინც ტურფა და ლამაზი საქართველო, იძულებულია ხმა ჩაიკმინდოს და კვლავ უცადოს, კვლავ ელოდოს, რას?..

— მოწყალებას!..

**ია ეკალაძე.**

(შემდეგი იქნება.)

ისეთი ნაწილის განთავისუფლება შეიძლება, რომელიც ხელს არ შეუშლის გემს საჭიროების დროს დაიძრას, 14) არც ერთი სამხედრო პირი არ დაისაჯოს გაუსამართლებლად. ხოლო ბრძოლის პირობებში უფროსს უფლება ეძლევა პირადი პასუხისმგებლობით ყოველივე ზომები მიიღოს, იარაღიც იხმაროს ხელქვეითების წინაღმდეგ, თუ მის ბრძანებას არ აასრულებენ; 15) აიკრძალოს ისეთი სასჯელი სამხედრო პირთათვის, რომელიც მის პატიოსნებას შებღალავს და აგრეთვე ფიზიკურ ტანჯვას აყენებს. შენიშვნა: აიკრძალოს თოფით დაყენება, როგორც დისციპლინარული სასჯელი; 16) იმ სასჯელის ხმარება, რომელიც დისციპლინარულ წესდებაში არ არის, ბოროტმოქმედებათ ჩაითვლება და დამნაშავე პასუხისგებაში იქნება მიცემული. პასუხის გებაში მიეცემა აგრეთვე ყველა ის უფროსი, ვინც სცემს თავის ხელქვეითს სამსახურში ან მის გარეშე;

მეჩვიდმეტე მუხლი გამოტოვებულია ტელეგრაფის მიერ.

18) თანამდებობებზე დანიშვნის და დათხოვნის უფლება ეძლევათ უფროსებს (?) მათ ეძლევა აგრეთვე უფლება მისცენ განკარგულება ჯარის მომზადების შესახებ. დასჯის, კანტროლის და შინაურ თვითმართველობის მოწყობის უფლება ეძლევა ჯართა არჩეულ ორგანიზაციებს. ვაცხადებ რა ამ ბრძანებას, მოვითხოვ მის სავსებით შესრულებას.

სამხედრო და საზღვაო
მინისტრი **კერენსკი**

## საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციები.

(გაგრძელება იხილე ჩვენი ქვეყნის № 31)

**საქართველოს ავტონომიისა და რუსეთის ფედერაციის ძირითადი საფუძვლები.**

### 1. ტ ე რ ი ტ ო რ ი ა.

„საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის კონფერენციამ განიხილა რა საკითხი საქართველოს ტერიტორიის შესახებ, დაადგინა; საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრას საფუძვლად უნდა დაედვას რეალურ მოსახლეობის პრინციპი, ტერიტორიის მთლიანობის დაცვით. ამის მიხედვით საქართველოს ტერიტორიას შეადგენს ტფილისის გუბერნიის—ახალციხის, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, თბილისის და თიანეთის მაზრები და ქართველებით დასახლებული ბორჩალოსა და ახალ ქალაქის მაზრების და ზაქათალის ოლქის მოსაზღვრე ნაწილები. ქუთაისის გუბერნია. ბათუმის ოლქი და სოხუმის ოლქის ნაწილი. რაც შეეხება ბორჩალოსა და ზაქათალისა და სოხუმის ოლქების დანარჩენ ნაწილებს, ისინი შემოუერთდებიან საქართველოს ტერიტორიას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკვიდრთა უმრავლესობა რეფერენდუმით ამის სურვილს გამოსთქვამს.“

### II. კომპეტენცია.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის კონფერენციამ, განიხილა რა საკითხი საქართველოს რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის საკანონმდებლო და მართვა-გამგეობის კომპეტენციისა მომავალისათვის, დაადგინა შემდეგი:

1. საკანონმდებლო და მართვა-გამგეობის ყველა საქმეები, რომლებიც საგანგებოდ გადაცემულ არ იქნებიან ძირითად საკონსტიტუციო კანონების ძალით რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის ორგანოთათვის, უნდა ექვემდებარებოდნენ საქართველოს საკუთარ საკანონმდებლო, მართვა-გამგეობისა და სასამართლო ორგანოებს.

2. რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის ორგანოებს უნდა გადაეცეს და მიეკუთვნოს:

ა) უფლება ომის გამოცხადებისა და ზავის შეკვრისა, უცხო სახელმწიფოთა წინაშე წარმომადგენლობისა, მათთან კავშირის შეკვრისა და ტრაქტატების დადებისა, ვაჭრობისა და შემოსატან-გასატანად საქონელზე ბაჟების დაწესებისა და საერთოდ საბაჟო საქმეების მოწესრიგებისა.

ბ) უფლება სახალხო ლაშქრის და სამხედრო და საავიაციო ფლოტის მოწყობისა და შენახვისა და უმაღლესი გამგებლობა სამხედრო, საზღვაო და საავიაციო საშუალებათა.

გ) კანონმდებლობა სარკინისგზო, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო საქმეებისათვის, რამდენადაც რკინის გზა, ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი აკავშირებს საქართველოს რუსეთის სხვა ერთეულებთან.

დ) ფულის საქმე და წესები, ზომის, წონის და საწყაო სისტემისა, კანონმდებლობა საბანკო ბილეთების გამოცემის სა ერთო წესების შესახებ, კანონმდებლობა მომუშავე ბავშთა და მუშათა უზრუნველ მყოფ ღონისძიებათა მინიმუმის შესახებ, კანონმდებლობა სამოქალაქო უფლებამოსილობისა, სავაჭრო და სავექსილო ურთიერთობათა შესახებ, კანონმდებლობა სისხლის სამართლის საქმეებისათვის სახელ მწიფოებრივ და იმ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომელნიც არღვევენ რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის კანონებს, გამოცემულთ იმის კომპეტენციის ფარგალში, განსაზღვრა სისხლის სამართლის კანონებით უფლებათა შეკვეცის ფარგლისა და კანონმდებლობა აღმოჩენათა პრივილეგიის შესახებ.

ე) უზრუნველყოფა საქართველოს და ფედერატიულ რესპუბლიკის სხვა ერთეულების ტერიტორიის და მათი უფლებებისა და აგრედვე გარჩევა და საბოლოოდ გადაწყვეტა ამ ერთეულთა შორის უთანხმოებისა და დავისა, თუ ამ უთანხმოებამ და დავამ თავი იჩინა და დაწესება იმ ხარჯთა ანაზღაურების წესისა, რომელიც გაწეულ იქნება რუსეთის შემადგენელ სატერიტორიო ერთეულების მიერ ურთიერთობის ღარიბთა და ავადმყოფთა საჭიროებისათვის“.

(გაგრძელება იქნება)

## იმერეთის საეპარქიო სამღვდელოების კრება.

(გაგრძელება იხ. „ჩვ. ქვ.“ № 31).

შემდეგ ირჩევა საკითხი: რანაირი დამოკიდებულება უნდა იქონიოს ქართველმა სამღვდელოებამ საქართველოში აწ მომქმედ არსებულ პოლიტიკურ პარტიებთან? კამათში იღებენ მონაწილეობას მღვდელნი ს. ლეკვეიშვილი, ს. მჭედლიძე, დ. ჩხაიძე, ვ. ფოფხაძე, ს. ჭელიძე და ვლ. მაჭარაშვილი. სპ. ლეკვეიშვილი და ს. მჭედლიძე მოითხოვენ, რომ არსებული წესწყობილების თანახმად მღვდელს ნება ქონდეს თავისი სურვილისამებრ მიეკედლოს ამა თუ იმ მომქმედ პარტიას ანდა პარტიათა შორის დაიკავოს შემრიგებელი როლი. დ. ჩხაიძე გამოსთქვამს, რომ საქართველოში არსებობს ორი სოციალისტური (სანფარები და ესდეკები) და ერთიც არა სოციალისტური (ეროვნულ-დემოკრატები) პარტიები. — მეო, სთქვა მან, მიუხედავად ჩემი წოდებისა თამამად ვიზიარებ სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებას და ამას ვერავინ დამიშლის, რადგანაც აწ მომხდარმა დიდმა რევოლუციამ ყველას თავისუფლება მიანიჭა და მასთან მღვდელსაცაო. მღვდელი ვლ. მაჭარაშვილი სამღვდელოებას მიუთითებს იქითკენ, რომ თანდათან ახლოვდება ის ჟამი, როცა საბოლოოდ უნდა გადასწყდეს საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი ე. ი. ეკლესიის ავტოკეფალიის სრულიად აღდგენისა და პოლიტიკურ ტერიტორიული ავტონომიის მოპოვებისა და ვინაიდგან აწ მომქმედი პარტიები სხვადასხვა თვალსაზრისით უყურებენ ჩვენთვის ამ სანეტარო საგანს, ამიტომ ქართველი სამღვდელოება უნდა მიეკედლოს იმ პარტიებს, რომლებიც ამ საკითხების გადაჭრას სცდილობენ. აი სწორეთ ამ საკითხში უკვე შეთანხმდენ სოც.-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები და ჩვენც სწორედ ამათ უნდა ამოუდგეთ გვერდში და არავითარ დაბრკოლების წინაშე ქედი არ მოვიხაროთ, თუ გინდ ამისათვის შუბზედ აგება მოგველოდეს.

შემდეგ საკითხათ ისმება: რანაირად განაწილდეს საეკლესიო მსახურთა შორის ის 89 ათასი მანეთი, რომელიც მთავრობამ გადასდო ომის გამო გაჭირვებულ საეკლესიო კრებულთა შესაწევნელათ 1916 წ. სპ. ლეკვეიშვილი სთხოვს კრებას, რომ ამ ფულებიდგან გადადებულ იქმნას 20 ათასი მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს ავტოკეფალობის ათასნაირ მოსაგვარებელ საქმეებს, რაზედაც კრების უმეტესი ნაწილი უარით უპასუხებს, იმ აზრით, რომ საჭიროების დროზედ საეპარქიო აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწეროს და ყოველნაირ ხარჯებს ჩვენი ჯიბიდან გადვიხდოთო. მღვდელი ვლადიმერ მაჭარიშვილი კრებას მოაგონებს დიდს მნიშვნელობას მომენტისას, რაიცა ითხოვს მეტად დიდს ხარჯებს. აგრედვე მიუთითებს იმ გარემოებაზედაც, რომ ქართველი მომქმედი ყველა პარტიები ღებულობენ თავიანთ თანამგრძნობთაგან შეწირულებებს თავიანთ პარტიების გასაძლიერებლად, ამისათვის ჩვენც ვალდებული ვართ სხვებსავით მოვიქცეთ და აღმასრულებელ კომიტეტს თუ მეტი არა, ეგ მაინც მივსცეთ, რასაც თხოულობსო; მაგრამ რადგან ზოგიერთები ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ სამღვდელოება ამ ჟამად დიდს მატერიალურ გაჭირვებას განიცდისო, გადასწყდა, რომ ამ ავტოკეფალურ ეკლესიისათვის გადიდოს 10 ათასი მანეთი, დანარჩენი კი განაწილდეს მღვდელთა და მედავითნეთა შორის თანასწორ ნაწილადო, ე. ი. რამდენიც ერგოს თითო მღვდელს, იმდენი მიეცეს მედავითნესაცო. კრების დადგენილებით სვანეთის მღვდლებს ეძლევათ 20 მანეთით მეტი სხვა კუთხის მღვდლებზედ ამავე ფულიდგან კრებამ ერთ დროული 300 მანეთი შემწეობა აღმოუჩინა მასწავლებლის ჩიხლაძის ქვრივს, შვილის უნივერსიტეტში აღსაზრდელათ. კრებამ აგრეთვე შემწეობა აღმოუჩინა საეპარქიო თვითო კრებულზედ თვითო მანეთის გამოღებით, რაიცა შეადგენს 600 მანეთს, გადაცვალებულ მღვდლის არტემ ბოჭორიშვილის ვაჟს.

15 აპრილის კრება. ირჩევა საკითხი: რანაირად უნდა აღინიშნოს ქართველი ერისა და ეკლესიის მხრივ რუსის მთავრობის მიერ ურჯულოთა მზგავსათ წამებულნი მიტროპოლიტები ქუთათელი და გენათელი და საქართველოს კათალიკოსი ანტონ მეორის ხსენება? ერთხმათ გადაწყდა, რომ საქართველოს ეკლესიის საქმეების სასურველათ მოწყობის შემდეგ იმათი ნეშტი შესაფერი პატივისცემით იქმნას გადმოსვენებული და დასაფლავებული: პირველი ორნი გენათის მონასტერში, ხოლო ანტონ კათალიკოსი მცხეთის სვეტი ცხოვლის საკათალიკოსო ტაძარში, ისე, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ერის გრძნობანი არ იყოს შელახული, რადგან ისინი აწ დამხობილი მთავრობისაგან არიან წვალებულნი და არა რუსის ერისაგან. ირჩევა საკითხი: სამღვდელო პირთა სამოქალაქო უფლება. ამ საკითხის აღმძვრელი მღ. ს. მჭედლიძე თავის გრძელ დასაბუთებულ სიტყვაში ეხება ძველი მთავრობის მიერ სამღვდელო პირთა ყოველივე უფლებების შეზღუდვას და მოითხოვს, რომ მღვდელს ანაფორის გაუხდელათ ექნეს სრული უფლება შევიდეს ყოველ სამსახურში; დაუბრკოლებლივ მიიღებოდეს იგი ყოველ ამხანაგობებში წევრათ, როგორიც არიან მაგალითად საურთიერთო საზოგადოება და ყოველნაირი ბანკები და სხვა.

მღ. **ვლ. მაჭარაშვილი.**

(დასასრული იქნება.)

## რ უ ს ე თ ი.

**გაზ. „რეჩი“ მრეწველობის საქმის გამწვავების გამო.**

„მუშები მწარმოებლებს ყოველ დღე ახალ მოთხოვნილებებს უყენებენ. ჩვენს მრეწველობაში ამ ჟამად საშინელი რღვევა სწარმოებს. უკანასკნელ დროს მუშათა მიერ წამოყენებული შრომის ფასი 240 მილიონ მანეთით აღემატება იმ ჯამს, რომელიც რევოლუციამდე ეძლეოდა მუშებს. მუშებს ჰსურთ, სახელმწიფომ გლეხებისა და არა კაპიტალისტების ნაშრომით არჩინოს 2—3 მილიონი მუშა. ერთი წლის შემდეგ როდესაც მუშები კიდევ ახალ მომატებას მოითხოვენ, მათ უპასუხებენ მწარმოებლები:

„კასები გაჩანაგდა—და წარმოებას ვაჩერებთო.“

ჩვენ მივექანებით დაღუპვისკენ, დროა ამას ჩაუფიქრდეთ.

**იუსტიციის სამინისტროში.**

სატახტო გაზეთების გადმოცემით იუსტიციის სამინისტროში არსდება მინისტრის მესამე ამხანაგის თანამდებობა, რომელსაც სისხლის სამართლის დებულებათა რეორგანიზაცია მიენდობა.

**კერძო უნივერსიტეტი.**

შემოდგომიდან ქ. პეტროგრადში არსდება კერძო უნივერსიტეტი, რომლის ძირითადი თანხა ერთ მილიონს და ორას ათას მანეთს უდრის. უნივერსიტეტში ორი განყოფილება იქნება, იურიდიული და ისტორიულ-ფილოლოგიური. უნივერსიტეტს ხელმძღვანელობენ ის პროფესორები, რომლებიც რევოლუციის შემდეგ დაითხოვა განათლების მინისტრმა მანუილოვმა.

**ლოთობისთვის პასუხის მგებლობა.**

პეტერბურგს სამინისტროში კანონპროექტი შეაქვს, რომლის ძალითაც ლოთობისთვის თითოეული პიროვნება სასტიკ პასუხის გებაში იქნება მიცემული.

**რუსეთი და მოკავშირენი.**

კოალიციურ მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდა მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან. მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატია რუსეთის დროებითი მთავრობის დეკლარაციას თითქმის უცვლელად ღებულობს, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია საერთაშორისო დემოკრატიის დასტურიც.

**მაჰმადიანთა ყრილობა.**

სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა ყრილობაზე, რომელიც მოსკოვში სწარმოებს, აღიძრა კითხვა ქალთა უფლებრივ გათანასწორების შესახებ. დადგინდა ქალებს მიეცეთ პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებები. ყრილობამ აგრეთვე გადასწყვიტა, მოისპოს მრავალ-ცოლიანობა.

**ყ ა ჩ ა ღ ო ბ ა.**

რუსეთში ყაჩაღობა ფართე ნიადაგს პოულობს. შლისელბურგის მაზრაში 400 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა საწარმოვო დაწესებულებას „ეკონომია“. გაიტაცეს 300.000 მან. ფულად. ყაჩაღთა ბრბოები თარეშობენ აგრეთვე პოდოლისა და ვიატკის გუბერნიებში.

**ბეილისის საქმის საიდუმლო.**

სამოსამართლო კომისიამ გამოიკვლია ბეილისის საქმის საიდუმლოებანი. მთავარი ბრალმდებელი ბეილისისა ზამისლოვსკი თურმე პოლიციის დეპარტამენტის წევრი ყოფილა და ბეილისის გასამტყუნებლად ბნელ ძალებისაგან მიუღია ოცი ათასი მანეთი.

**რკინ. გზ. წესრიგის დასაცავად.**

ამ ბოლო ხანს რკინის გზებზე დიდი უწესოება ხდება. მგზავრების გაქურდვა, ქალების შეურაცხყოფა და ცემა-ტყეპა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. გზათა მიმოსვლის სამინისტრომ განიხილა რა ეს კითხვა, დაადგინა: რკინის გზებზე წესრიგის დასაცავად გაიგზავნოს ქვეითა ჯარის რაზმები, გამოცდილ პირთა ხელმძღვანელობით.

**ფინანსიური მდგომარეობა.**

შინგარევი შეეხო სახელმწიფოს ფინანსიურ მხარეს და განაცხადა: ფინანსიური მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. გადასახადებს არავინ იხდის. „თავისუფლების სესხი“-ს საქმეც ძლიერ ცუდათ მიდის. გლეხთა ყრილობაზე დელეგატებმა განაცხადეს: „გლეხებო, არ მიზიდოთ ქალაქებში პური, სანამ არ მიიღებთ ტყვეულობა-რკინეულობასო“, ვინ არ იცის, რომ დღეს ტყვეულობის და რკინეულობის შოვნა ძნელია, ხოლო, რაც შეეხება იმ მოწოდებას, რომ გლეხებმა პური არ მისცეს ქალაქებს, ეს ხომ ქვეყნის დაღუპვაა [illegible] (ამ სიტყვების წარმოთქმის დროს შინგარევს ცრემლები მოერია). დასასრულ შინგარევმა სთქვა. რევოლუცია, რუსის ხალხს, სამწუხაროდ, ღრმად ვერ ჩასწვდა მან მისცა ხალხს მოქალაქობრივი უფლება, მაგრამ ვერ შექმნა რკინის დისციპლინა, რომელიც თითოეულ პიროვნებას ვალდებულ გახდიდეს მამულის წინაშე სრულის შეგნებით და მთელის ძალღონით იმოღვაწეოს.

რედაქტორ გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**


## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სიბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათიშაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| " | — საღამ. | 8 ს. 50 | " |
| ბათომიდან | დღისით — | 12 ს. 40 | " |
| " | — ღამის — | 1 ს. | " |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | " |
| ტყიბულიდან | — საღამოს | 6 ს. 50 | " |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | " |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. | " |
| " | — ღამის — | 11 ს. 34 | " |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 5 | " |
| " | — დილის — | 7 ს. | " |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | " |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | " |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | " |


## რუსეთის დიდი რევოლუციის სახსოვრად

ყოველ თავისუფალ მოქალაქის ბინაზე, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა უნდა მოიპოვებოდეს 11 ახალი მთავრობის სახალხო მინისტრების სურათები

1) მანეთად და 75 კაპ. გაგეგზავნებათ 11 მინისტრთაგან შემდგარი ჯგუფის სურათი დიდი ფორმატის 2) მ. 75 კაპ. 6 დიდი პორტრეტი: როძიანკოსი, ლვოვის, გუჩკოვისა, კერენსკის და ჩხეიძის—ამასთანავე რუსეთის რევოლიუციის დიდედის ბრეშკო ბრეშკოვსკაიას სურათი, 3) 5 მ. 50 კაპ. მიიღებთ ორ სენსაციურ წიგნს: ა) „გრიშკა რასპუტინი“. ბ) რომანოვთა სახლის საიდუმლოებანი. 4) სამარცხვინო გამჟღავნება, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი სურათები: 1) გრაფინა ალპატიესა ეხვევა რასპუტინს, 2) ქალბატონი კორობოვისა და რასპუტინი, 3) რასპუტინი უმაღლეს წრეების პატიოსან ქალებში, 4) რასპუტინის მოკვლა თ. იუსუპოვის სახლში და სხვ ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით Издательство „Бюро Печати“ Москва, Тихвинскій пер., № 7 кв. 21—Д.

ვინც წინათვე სულ მთლად წიგნების ფას გამოგზავნის იგი გაგზავნის ხარჯს არ იხდის. ფასი შეიძლება გამოიგზავნოს მარკებითაც შეკვეთილი წერილითა, უბეოთ არავის არ ეგზავნება ზემოხსენებული წიგნები და პორტრეტები იგზავნება ფას-დაკლებით და გზის ხარჯით ფირმაზე ვინც გამოგზავნის წინათვე 9 მან. 75 კაპ. ვინც 25 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს მას მიეცემა 30 პროცენტის დაკლებით. შეკვეთა და ფულის გაგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: Москва Бюро Печати Тихвинскій пер. № 7 кв. 21